



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 13

2017 წლის 28 აპრილი

ქ. ბათუმი

**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 სექტემბრის №22 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ცვლილება შევიდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 24.09.2014წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.133.016117) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 სექტემბრის №22 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე